საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 20.12.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ამირან ძაბუნიძის კანდიდატურა?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ამირან ძაბუნიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ამირან ძაბუნიძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2021 წლის 30 ნოემბერს შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის, ამირან ძაბუნიძის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის 34^2 მუხლის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტს და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ამირან ძაბუნიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ხოლო, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, ამირან ძაბუნიძეს ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო საკმაოდ მაღალი - 93 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 93%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 9 დეკემბრის N1/186 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა ამირან ძაბუნიძე. შესაბამისად, ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2021 წლის 20 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც

გადაწყდა ამირან ძაბუნიძის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამრიგად, 2021 წლის 20 დეკემბერს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად - ამირან ძაბუნიძეს მხარი დავუჭირე. ვინაიდან, მიმაჩნია, რომ იგი მისი ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირსეულად შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის დაკისრებულ რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 20/12-21